ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2573346

ნომერი: AR1398289

თარიღი : 26.04.2016

გაცემის თარიღი : 03.05.2016

გაცნობის თარიღი : 03.05.2016

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა III რეხის / ქალაქი თბილისი , ქუჩა III რეხი ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ტარიელ ხიზანიშვილი პ/ნ 01015006993
- თბილისი საადის ჩიხი N 3

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი AR1398289 განცხადებას, რომლითაც ითხოვთ ქალაქგეგმარებით დასკვნას, მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.16.08.008.061) ავტოპროფილაქტიკის განთავსებასთან დაკავშირებით. პასუხად გაცნობებთ, შემდეგს: ზემოაღნიშნულ და მიმდებარე საკადასტრო ერთეულებზე არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემულია განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება (09.06.2014 წ. გადაწყვეტილება №1295019) და შეთანხმებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი (19.12.2014 წ. წერილი №1652042). შესაბამისად, მოცემული მიწის ნაკვეთების სამშენებლოდ განვითარება უნდა განხორციელდეს აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში.
ზემოაღნიშნულ განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტში (გრგ) რაიმე სახის ცვლილების განხორციელება, საჭიროებს შესაბამისი კორექტირების შეტანას. შესაბამისად, აღნიშნულის განხორციელების მიზნით, საჭიროა ელექტრონული განცხადება ატვირთოთ ჩვენი სამსახურის ვებ გვერდზე – http://tas.ge/–ზე შესაბამის ნომენკლატურაში, კერძოდ: „მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები“, შემდეგ „განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირება“. რომელსაც გამიხილავს “ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს”. ასევე საჭირო იქნება წარმოდგენილ იქნეს განაშენიანების რეგულირების გეგმაში შემავალი მიწის ნაკვეთების მესაკუთრეების შესაბამისი ფორმით დამოწმებული თანხმობა.

- კიდამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.